სსკგ-ს თავმჯდომარე ბუდაპეშტში საერთაშორისო ევქარისტიულ კონგრესზე სიტყვით გამოვიდა



2021 წლის 6 სექტემბერს მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა, რომელიც უნგრეთში იმყოფება მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს ლოცვა-კურთხევით, ბუდაპეშტში საერთაშორისო ევქარისტიული კონგრესის მუშაობა გახსნა, – წარადგინა რა მოხსენება ევქარისტიის მართლმადიდებლური გაგების შესახებ.

ღონისძიება ჩატარდა უნგრეთის ერთ-ერთ უმსხვილეს საგამოფენო ცენტრში – Hungexpo.

მიტროპოლიტმა ილარიონმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ მართალია კათოლიკური ეკლესია და მართლმადიდებელი ეკლესია არ არიან ევქარისტიულ კავშირში, მაგრამ ისინი გაერთიანებულნი არიან რწმენით ევქარისტიაში ქრისტეს ნამდვილი მყოფობისა. ამ რწმენამ განსაკუთრებული გამოხატულება ჰპოვა მართლმადიდებელი ეკლესიის ლიტურგიკულ და საღვთისმეტყველო ტრადიციებში, რომელსაც საღმრთო ლიტურგია ესმის როგორც საღვთისმსახურო ცხოვრების მწვერვალი, როგორც სივრცისა და დროის შეზღუდვების გადამლახავი ღვთისმსახურება.

საუბრობდა რა მართლმადიდებლურ ხელოვნებაში ევქარისტიის შესახებ არსებულ წარმოდგენაზე, იერარქი ცალკე შეჩერდა „მოციქულთა ზიარების“ ტრადიციულ იკონოგრაფიაზე, დაახასიათა ის როგორც რწმენის ნათელი გამოხატულება ევქარისტიის ძალისა, როგორც ეკლესიის ერთობის აღმშენებელისა.

ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა წარმოადგინა პატრისტიკური გაგება ქრისტეს წმინდა საიდუმლოთა ზიარების შესახებ, როგორც განღმრთობის მიღწევის მთავარი საშუალება, რაც წარმოადგენს ქრისტიანული ცხოვრების მიზანს. სსკგ–ს თავმჯდომარის გამოსვლაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მართლმადიდებელ ეკლესიაში ევქარისტიის აღსრულების განსაკუთრებულობებს, რაც მორწმუნეებს საშუალებას აძლევს ზეციერი სასუფევლის რეალობას ჯერ კიდევ მიწაზე ყოფნისას ეზიარონ.

თავისი გამოსვლის დასასრულს მეუფე ილარიონმა ხაზი გაუსვა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია მდიდარი ტრადიციების მცველს წარმოადგენს, რომელიც ადის უფალ იესო ქრისტესთან და ეკლესიის ადრინდელ მამებთან, და მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს მასში მონაწილეთათვის ამ ტრადიციის წარდგენის შესაძლებლობის მიცემისთვის.

კონგრესის ფარგლებში სსკგ–ს თავმჯდომარე ესაუბრა ესტერგომისა და ბუდაპეშტის მთავარეპისკოპოს კარდინალ პეტერ ერდიოს და რომის კათოლიკური ეკლესიის სხვა იერარქებს, ასევე ინტერვიუ მისცა რიგ მედია საშუალებებს.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87969/